

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



European Center for  
Not-for-Profit Law



Funded by the European Union



CIVIL  
SOCIETY  
INSTITUTE



## csometer სსო მეტრი

2021 წლის საქართველოს ანგარიში

[www.csometer.info](http://www.csometer.info)

### CSO Meter 2021

Georgia, Country Report

რეგიონული ჰაბის წევრები საქართველოდან  
Regional hub representatives from Georgia



სამოქალაქო  
საზღვარგარეთის  
ინსტიტუტი



IDFI  
ინფორმაციის თავისუფლების  
აქტივისტების ინიციატივა

## სსო მეტრი - საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს 2021 წლის ანგარიში

**24 მაისს**, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა (CSI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (GYLA) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) ერთად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს 2021 წლის ანგარიშის – სსო მეტრის პრეზენტაცია გამართა.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**სსო მეტრი** მონიტორინგის ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებში ფასდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და აქტივისტების საარსებო გარემოში კანონმდებლობა და პრაქტიკა. ანგარიში 11 უფლებრივი სტანდარტით და 7 ქულიანი სისტემით ფასდება (ყველაზე დაბალი ქულაა 1 – უკიდურესად არახელსაყრელი, ავტორიტარული გარემო, ხოლო 7 ქულა – მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო).

2021 წლის **სსო მეტრის** თანახმად, საქართველო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და აქტივისტებისთვის გარემო მაქსიმალური 7 ქულიდან **4.7 ქულით შეფასდა** (კანონმდებლობა: 5.2 ქულა, პრაქტიკა 4.3 ქულა).

**სსო მეტრის შედეგების მიხედვით: საქართველო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საშუალო რისკის ქვეყანას წარმოადგენს.**

ანგარიშის თანახმად, 11 უფლებრივი სტანდარტიდან საქართველოში ყველაზე მძიმე გამოწვევად რჩება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. **კანონმდებლობა** მოი-ცავს ძირითად გარანტიებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა ... თუმცა, ეს გარანტიები ჯერ კიდევ მყიდვია და კონფიდენციალურობის უფლების პატივისცემის სახელმწიფო მოვალეობის პრაქტიკული განხორციელება კიდევ უფრო შემზარავი ჩანს, გაუონილი დოკუმენტებით, რომლებიც ასახავს სსო-ების და მასთან დაკავშირებული პირების უკანონო თვალთვალს“, აღნიშნულია ანგარიშში.

**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მაქსიმალური 7 ქულიდან 3.9 ქულით შეფასდა** (კანონმდებლობა: 4.6 ქულა, პრაქტიკა 3.1 ქულა).

საქართველოში ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა **სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა**, რაც განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. ურთიერთანამშრომლობა ასევე გაარ-თულა კოვიდ პანდემიამ. შედეგად, ამ სფეროში საქართველომ **4.0 ქულა მიიღო 7 ქულიდან.**

ყველაზე მაღალი ქულა **5.8 ქულა საქართველომ გაერთიანების თავისუფლების მიმართუ-ლებით დაიმსახურა**, რაც ძირითადად საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფუძნებისა და ოპერირების სიმარტივით არის განპირობებული.

სსო-მეტრი ყოველწლიური ანგარიშია, რომელიც პერიოდულად და განგრძობითად აფასებს საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს, ასევე ხელისუფლების მხრიდან ამ მიმართულებით არსებული რეკომენდაციების შესრულების

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პროცესს.

იხილეთ სრული **ანგარიში**

ღონისძიება გაიმართა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერების და ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზამკვლევის“ ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ხორციელდება არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის (ECNL) ხელმძღვანელობით პარტნიორი ორგანიზაციებთან ერთად: საერთაშორისო გამჭვირვალობა – სომხეთი; შპს MG ქონსალტინგი აზერბაიჯანი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი -საქართველო; პრომო-ლექს ასოციაცია - მოლდოვა, უკრაინის დამოუკიდებელი პოლიტიკური კვლევების ცენტრი.